წელიწადი მეცამეტე

ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური ორგანო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური აღმასკომის

კომუნისტი

ყოველდღიური გაზეთი

ხელს აწერენ: რედაქტორის—14—70, რედ. მოიჯარეს—22—17, სამდივნოს—10—58, მთა. კონტორის—8—81.

შაბათი, 4 მარტი 1933 წ. № 52 (3608)

საბჭოთა აფხაზეთის 12 წლის თავზე

მხურვალე სალამი საბჭოთა აფხაზეთის

ინდუსტრიალიზაციის გზით

სოხუმი, აფხაზეთის ცაკ—ამხ. ლაკობას
საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს—
ამხ. ლადარიას

მხურვალე სალამი აფხაზეთის მშრომელებს აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 12 წლისთავზე.

საბჭოთა აფხაზეთი წარმოადგენს ლენინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების საუკეთესო მაგალითს, საქართველოს და ამიერკავკასიის ხალხთა ძმური თანაცხოვრების საუკეთესო ნიმუშს.

საბჭოთა აფხაზეთის არსებობის წლები — ეს არის მისი საწარმოო ძალთა პროგრესიული ზრდის წლები, ნამდვილი სოციალისტური მშენებლობის წლები, აყვავების წლები.

მიაღწიონ სახალხო მეურნეობის კიდევ უფრო მეტ განვითარებას, იბრძოლონ მოსავლიანობის ნამდვილად გადიდებისათვის, ძვირფასი ტექნიკური კულტურების უკეთ განვითარებისათვის, უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრეების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ - სამეურნეო და პოლიტიკური განმტკიცებისათვის, ამხ. სტალინის მიერ სოფლად მუშაობის შესახებ მოცემულ საპროგრამო მითითებების და საქ. კ. პ. (ბ) ცკას და ცენტრ. საკ კომისიის იანვრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ბოლშევიკურად განხორციელებისათვის — ახსნია აფხაზეთის მშრომელთა შემდგომ. ამოცანა

ს. ქ. კ. პ. (ბ) ცკას მდივანი —ლ. ბერია
სახკომსაბჭოს თავმჯდომარე —მგალობლიშვილი

აფხაზეთის ცაკ—ამხ. ლაკობას
საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტს—
ამხ. ლადარიას

საბჭოთა აფხაზეთის 12 წლის თავზე პარტიის თბილისის კომიტეტი ქ. თბილისის პროლეტარების და ყველა მშრომელთასახელო გულთბილ მისალმებას.

აფხაზეთი, რომელიც წარმოადგენდა ცარიზმის და მენშევიკების უაზრესი კოლონიზატორული პოლიტიკის ობიექტს დრომდეც პროლეტარიატის ხანგრძლივი გადაქცა საბჭოთა, სოციალისტურ რესპუბლიკად, ლენინური ნაციონალური პოლიტიკის 12 წლის მანძილზე მტკიცედ დადგა ალორძინების და აყვავების გზას და მან ურთიერთ პარტიის ხელმძღვანელობით როგორც საქართველოს, ისე ამიერკავკასიის ხალხებთან ძმური კავშირში მიაღწია უდიდეს წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობის ყველა ფრონტებზე.

თბილისის პროლეტარიატი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ აფხაზეთის ბოლშევიკები სათავეში ჩაუდგებიან დამკვრელ მუშათა და კოლმეურნეთა შრომით ენტუზიაზმს, კიდევ უფრო გააძლიერებენ მას-ებრ ენტუზიაზმს ახალი ტემპების და ახალი მშენებლობის ათვისებას საქმეში და იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის, შემდგომი ინდუსტრიალიზაციისათვის, კოლმეურნეობების ნამდვილ ბოლშევიკურ კოლმეურნეობებად გარდაქცევისათვის, კოლმეურნეობებიდან ყველა მუქთამეზლების და ანტისაბჭოთა ელემენტების განდევნისათვის.

თბილისის პროლეტარები და შრომელები დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაცია, პარტიის ბელადის ამხ. სტალინის ისტორიული მითითებების საფუძველზე, მთლიანად და გადაჭრებით შეასრულებს მეორე ხუთწლედის პირველი ბოლშევიკური გაზაფხულის გეგმას, განსაკუთრებით თამბაქოს, ჩაის და სხვა ძვირფას ტექნიკური კულტურების დარგში.

დაკვირთი ტემპებისა და საგაზაფხულოთესვის მაღალი ხარისხისათვის, **ამხანაგებო!**
გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტურ აფხაზეთს!
გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმურ კავშირს!
გაუმარჯოს საქართველოს კ.პ. (ბ) ცკას და ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას!
გაუმარჯოს პარტიის და მშრომელთა პროლეტარიატის ბელადს ამხ. სტალინს!

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანი—მელაძე.

აძ იქნება საბჭოთა კალიფორნია და საბჭოთა ფლორიდა

საბჭოთა აფხაზეთის 12 წლის თავზე, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საქმეში მოპოვებულია უდიდესი მიღწევები.

წინად, ოქტომბრის რევოლიუციამდე, აფხაზეთი წარმოადგენდა ჩამორჩენილ ქვეყანას, მეფის კოლონიას—ამიერ კავკასიის ერთ-ერთ მოვარდნილ კუთხეს, სადაც მწირი მეღვინეობა განიცდიდა ორმაგ ექსპლოატაციას ერთი მხრივ რუსეთის და უცხოთის იმპერიალისტების და მეორე მხრივ ადგილობრივი თავად-აზნაურულ-მემამულეური ჯგუფების სახით. მეფის მთავრობის დროს ჩვენ გვქონდა სამაგალითო კონტრასტი: ერთის მხრივ აფხაზეთის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრე, რომელსაც მტაცებლურად ანაწილებდენ მემამულე-კაპიტალისტები და მეორეს მხრივ მშრომელი მოსახლეობის სამწირო სიღატაკე და მასიური უსაქმურობა.

1917-21 წლებში, როდესაც ხელისუფლების სათავეში მენშევიკები მოექცენ აფხაზეთის მშრომელ გლეხთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამან გამოიწვია აფხაზეთის მშრომელთა მთელი რიგი აჯანყებები მენშევიკების ბატონობის წინააღმდეგ და შეამზადა ნაყოფიერი ნიადაგი აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

ძირითად კულტურას მაშინდელი აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში წარმოადგენდა სიმინდი და თამბაქოს. ტექნიკური და ცივტრუსოვანი კულტურების განვითარებას როგორიცაა მანდარინი, ლიმონი, გერანი და სხვ. მეფის და მენშევიკების მთავრობა სრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.

აფხაზეთის მშრომელი გლეხი ნამდვილად მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა ნამდვილად ადამიანური ცხოვრების შესაძლებელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება სოციალისტური გზით და აფხაზეთის მშრომელი გლეხობის გამოყვანა იმ ისტორიულ-საუკუნეობრივ ჩამორჩენილობისა და სიღატაკისაგან, რომელიც მას მემკვიდრეობად დატოვა მეფის რეჟიმმა და მენშევიკურმა ყოფილებმა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღე დანვე, პარტიის ხელმძღვანელობით აფხაზეთის მშრომელი გლეხობა შეუდგა ბრძოლას განადგურებული სოფლის მეურნეობის აღსადგენად. მის ასაყვავებლად და რაც მთავარია: სოფლის მეურნეობის მოსწყობად ახალ, კოლექტიურ საფუძველზე, ახალი სამაჭანკო ტენდენციის საფუძვლებზე აფხაზეთის პირობებში, რომელიც უახლოეს წლებში უნდა გადაქცეს საბჭოთა კალიფორნიად და საბჭოთა ფლორიდად, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტენდენციური და სამრეწველო კულტურების ფართოდ განვითარებას. აფხაზეთის ძირითადი ტენდენციური კულტურა—ეს არის თამბაქო.

ამ ღონისძიებების წყალობით რომელთაც ატარებდა პარტია და ხელისუფლება, ჩვენ მივაღწიეთ თამბაქოს ნათესების ფართობის აღდგენას ომის წინადროინდელ დონემდე და კიდეც გადავაჭარბეთ მას. უკვე 1924 წელს თამბაქოს ნათესების ფართობი აფხაზეთში გაიზარდა 4.470 ჰექტარამდე, ხოლო 1927 წელს—12.205 ჰექტარამდე. (ომის წინ, 1913 წელს კი თამბაქოს ნათესების ფართობი აღწევდა—8.760 ჰექტარს).

ტენდენციური და სამრეწველო კულტურების შემდეგომი განვითარების **ამოცანა:** მშრომელ გლეხთა ფართო მასების მატერიალური დონის და კეთილდღეობის შემდგომი ზრდის გაუშვეობისების ამოცანა შეიძლებოდა გადაჭრილიყო მხოლოდ და მხოლოდ სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძველზე.

აფხაზეთის მშრომელი გლეხობა, რომელმაც საკუთრივ გამოსცადა და დაინახა საბჭოთა ხელისუფლების მუშაობა და პროლეტარ. პარ. უდიდესი დახმარება სოფლის მეურნეობისადმი, საბოლოოდ მობრუნდა პარტიისა და ხელისუფლების მხარეს. ეს ხაზი მან ძნელის ბრძოლით გაიტარა და საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებს შორის 500—900 კილომეტრიან ამ ცირებს. მიმდინარე წელსვე განზრახულია ტუვარჩელის რკინის გზის ხაზის ამოშავება, ეს ხაზი ძირითად მაგისტრალს აკავშირებს ტყვარჩელს ქვა-ნახშირის მდიდარ საბადოებთან.

აფხაზეთის ავტ. საბჭოთა რესპუბლიკას მეტად ხელსაყრელი პირობები მოეპოვება საკურორტო მშენებლობის განვითარებისათვის, ს.კ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კურორტების მშენებლობის და მათი ექსპლოატაციის საკითხებს უადრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 1932 წელს ცენტრალური კომიტეტის დირექტივასთან შეფარდებით საკურორტო დარგში კაპიტალურ მშენებლობაზე დაიხარჯა 2,6 მილიონი მანეთი, ცალკლად 1,7 მილიონი მანეთისა, რომელიც დაბანდებულ იქნა უველა წინა წლებში. 1933 წელს აფხაზეთის საკურორტო მშენებლობაში დაბანდებულ უნდა იქნას სამი მილიონი მანეთი.

თვალსაჩინო წარმატებები გვაქვს აგრეთვე კულტურული მშენებლობის დარგში. შემოღებულია საყოველთაო დაწყებითი სწავლება. საგრანმოი ყურადღება ეძლევა ნაციონალურ კადრების მომზადებას და კულტურულ - საგანმანათლებლო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას.

საერთო სასკოლო ქსელი, წერა-კითხვის უცოდინრობის ხალიკვიდაციო ქსელის გამო, 831 ერთეულიდან 1933 წელს იზრდება 901 ერთეულამდე. ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის დარგში არსებული წარმატებანი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა მიერ მიღწეული ლენინური გზით, ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით მთელი საბჭოთა კავშირის და ამიერ-კავკასიის ფედერაციის მშრომელთან ძმურ კავშირში.

საბჭოთა აფხაზეთის არსებობის 12 წლის თავი კიდევ ერთხელ ამტკიცებს ლენინის ნაციონალური პოლიტიკის სისწორეს და წაციონალური საკითხის ლენინურად გადაჭრის საუკეთესო ნიმუშს ძიძილეა.

დ. ბზიავა.

ერევნული თბილისური

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. ს. კომისიის მესამე პლენუმი

2 მარტს საქართველოს ცენტრალურ საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის შენობაში შეიკრიბა საქართველოს ც.ს. კომისიის პირველი მესამე პლენუმი.

პლენუმმა მოისმინა ამხ. ბ. სტურუას ცენტრალი მოხსენება საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის ორგანოების ამოცანების შესახებ სოფელში.

საკონტროლო-კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის ორგანოებმა წარმატებით ჩაატარონ თავისი მუშაობა სოფელში.

უფრო მეტი ყურადღება, ვიდრე დღემდე ჰქონდა მიქცეული, უნდა მიექცეს მუშაობას ქალთა შორის, რომელნიც ასრულებენ ლმაგალ როლს თამაშობენ სოფლის მეურნეობაში.

საჭიროა აგრეთვე ხელი მოეკიდოთ რაიონებში ძალთა სწორი განაწილების საკითხებს, სოფელად აქტივის აღრიცხვის და ძლიერი საკოლმეურნეო აქტივის შექმნის საკითხებს.

ამხ. გ. სტურუას მოხსენების დახრულებ ის შემდეგ, პლენუმმა მოისმინა მთელ რიგ რაიონულ და საოლქო საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციების თავმჯდომარეთა ინფორმაციები.

პლენუმზე გამართულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ლაბაძისკაია (აფხაზეთი, საოლქო საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე), გ. ლურსმანაშვილი (თბილისის საგარეუბნო რაიონის საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე), ჩხენკელი (ლიმანის რაიონული საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე), ხუბუთია (ზუგდიდის რაიონული საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე), ანდრო დოლიძე და შასხუშვილი.

პლენუმმა საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის წევრთა მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ლაბაძისკაია, გ. ლურსმანაშვილი (თბილისის საგარეუბნო რაიონის საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე), ჩხენკელი (ლიმანის რაიონული საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე), ხუბუთია (ზუგდიდის რაიონული საკონტროლო კომისია-მუშა-გლეხთა ინსპექციის თავმჯდომარე), ანდრო დოლიძე და შასხუშვილი.

პლენუმმა საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ. კომისიის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატად პლენუმმა დაამტკიცა ამხ. გ. ლურსმანაშვილი, ი. ჩხენკელი და ბ. ხუბუთია.

პლენუმმა საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ. კომისიის პრეზიდიუმის წევრთა მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. ლაბაძისკაია, ი. ჩხენკელი და ბ. ხუბუთია.

პლენუმმა საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ. კომისიის პარტკონტროლის შემადგენლობაში შეიყვანა ამხ. მირზაბეკიანი და გოგებაშვილი, გარდა ამხ. კირვალიძის და ბანცელაძის.

საქართველოს კ.პ. (ბ) (ც.კ. კომისიის პარტკოლეგიაში (9 კაცი) შეიყვანეს ამხ. ქვარაცხელია, მეგრელიშვილი, ლორიეთი, ცირიეთი, მირზაბეკიანი, გოგებაშვილი, გ. მხეიძე, დ. თაქთაქიშვილი, დ. მნეშქიძე და კოკოშვა.

პლენუმმა საქართველოს კ.პ. (ბ) ც.კ. კომისიის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ვ. მზარეულაშვილი, მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

საქართველოს კ.პ. (ბ) ც.ს. კომისიის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. გ. სტურუა.

ამხ. გ. თ. სტურუა

ამხ. გ. თ. სტურუა დაიბადა 1884 წელს სატირეთის რაიონის სოფ. კულაშის გლეხის ოჯახში.

პარტიაში ამხ. სტურუა შევიდა 1901 წელს.

ამხ. სტურუამ მუშაობა დაიწყო თბილისში 1901—2 წელს მექანიკური სახელოსნოების შეგირდად.

1903 წლიდან ამხ. სტურუა მუშაობდა ბაქოში „ქასპის ამხანაგობის" და ბათომში „ჩაის ამხანაგობის" სახელოსნოებში. 1903 წლის დამლევს — ბათომში როტშილდის და კაპლანის ჰარხნებში.

1903 წელს ამხ. სტურუა პირველად დაპატიმრეს ბათომში, სადაც ის პოლიციის მეთვალყურეობის ქვეშ გადაასახლეს ასტრახანის გუბერნიაში. გზაზე ამხ. სტურუა გაიქცა. 1903 წლიდან დაწყებული 1904 წელს მობრდარ გადასახლებებე ამხ. სტურუა სულ მუდამ სცხოვრობდა არალეგალურად და აწარმოებდა ძირითად მუშაობას, როგორც პროფესიონალური რევოლუციონერი.

1904—5 წლიდან 1909 წლამდე ამხ. სტურუა მუშაობს ბაქოს, პოსკოვის და ყოფ პეტერბურგის არალეგალურ ორგანიზაციებში 1909 წლის დამლევიდან 1914 წლამდე ამხ. სტურუა ეწეოდა არალეგალურ პარტიულ მუშაობას ბაქოში. ამავე დროს მუშაობს ბაქოს ჭრელების თეთრსამთველოებში, სადაც მუშაობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

1914 წელს ამხ. სტურუა ჩასვეს ბაქოს ბაილოვის საპატიმროში გადიკეთებინების, რის შემდეგ ადმინისტრაციული წესით გადასახლეს ტომსკის გუბერნიაში, სოლო იქიდან ნარიმის მხარეში, როგორც უფ დორთ გადასახლებული.

1916 წელს ამხ. სტურუა გამოიქცა ციმბირიდან და ჩამოვიდა ბაქოში. 6 თვის მუშაობის შემდეგ მას კვლავ ახპატიმრებენ და ათავსებენ ბაილოვის საპატიმროში. ხოლო ამჯერად ისე ასხლებენ ციმბირში, რომ კუტაისის გუბერნიაში.

ამხ. სტურუას თებერვლის რევოლიუციამ პოლიტიკური მსჯელ. როცა ის მიჰყავდათ ბაილოვის საპატიმროში, ის განთავისუფლებულ იქნა, დაბრუნდა ბაქოში. და აქტიური მონაწილეობას ღებულობდა ბაქოს კომუნაში.

ბაქოს კომუნის დაცემის შემდეგ, ამხ. სტურუა გადადის თბილისში და აქ აწარმოებს არალეგალურ პარტიულ მუშაობას. 1918 წელს თბილისიდან იგზავნება კავკაზში, სადაც მუშაობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

კავკაზში საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შემდეგ, ამხ. სტურუა დიდის გაჭირვებით მოდის თბილისში. სადაც 1920 წლამდე ეწევა არალეგალურ პარტიულ მუშაობას და არის კავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი.

1919 წლის დამლეგს ამხ. სტურუას ახპატიმრებს საქართველოს მენშევიკური ხელისუფლება და შემდეგ ასახლებს აზერბაიჯანში, აქ ამხ. სტურუა მუშაობს აზერბაიჯანის კომპარტიის ცკ-ის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, ხოლო შემდეგ ცკის მდივნადაც.

შემდეგ ამხ. სტურუა რამოდენიმე ხანს მუშაობს მოსკოვში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით, ის მობილიზებულ იქნა და გახდა ხავერი თბილისში. აქ ის სასურსათო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანიზაციის პირველ დეკემბრამდე. ს.სურსათო. ფრონტზე არსებულ მატად მძიმე მდგომარეობის დროს, მუშაობს ამ დაწესებულებაში. შემდეგ ამხ. სტურუა გადადის სამუშაოდ ამიერ კავკასიის საგარო გაჭრობის გაერთიანებაში, ხოლო აქედან გადაყვანილ იქნა მოსკოვში—ამიერ-კავკასიის საგარო ვაჭრობის გაერთიანების მოსკოვის განყოფილების მმართველად და ამიერ-კავკასიის საგარო ვაჭრობის რწმუნებულად.

1924—25 წელს ამხ. სტურუა კვლავ ბრუნდება საქართველოში და იწყებს მუშაობას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნად. შემდეგ ამხ. სტურუა მუშაობს პარტიის აფხ. ზაიის საოლქო კომიტეტის მდივნად (1926—27 წლები), ხოლო 1928 წლიდან—საქართველოს კ.პ. (ბ) ც. ს. კომისიის პარტკოლეგიის თავმჯდომარედ. 1929 წელს ამხ. სტურუა დაინიშნა საქართველოს ოუსტიციის სახალხო კომისრად და ჭრაბუალეის პროკურორად. 1930 წელს დამლეგიდან ამხ. სტურუა არჩეულ იქნა საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარედ.

1932 წლის დამლეგს ამხ. სტურუას ირჩევენ სახ. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმის პასუხისმგებელ მდივნად, საიდანაც სამუშაოდ გადადის საქართველოს კ. პ. (ბ) ც. ს. კომისიის თავმჯდომარედ და მუშაობისათვის სახალხო კომისრად.

ამხ. სტურუა დაჯილდოებულია შრომის წითელი ორდენით.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან ამხ. სტურუა მუდამ არის საქართველოს და ამიერ-კავკასიის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წევრი.—საქართველოს კ.პ. (ბ) ცკას და ც. ს. კომისიის ორგანო და სხვა ორგანიზაციების წევრი (ავდ).

საბჭოთა აფხაზეთის 12 წლის თავზე

მასიური ტერორი გერმანიის კომპარტიის წინააღმდეგ

კომუნისტური პრესის აღკრძალვა

ბერლინი, 2 მარტი. გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გა... ითამ, საქსონიის, ტიურინგიის, ბრაუშვეიგის, ვოლდენბურგის და ვურტემბერგის მთავრობებმა გამოსცეს ბრძანება კომუნისტური პრესის და აგრეთვე ყველა კომუნისტური კრებების და დემონსტრაციების აკრძალვის შესახებ. ყველა ამ პროვინციებში სწარმოებს ჩხრეკა პარტიულ კომიტეტების ნისტებს. ალნიშნულ პროვინციებში ფაშისტები კომუნისტური პრესის გარდა აკრძალულია აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული გაზეთები.

„ლოკალ ანცეიგერ"-ის ცნობით, „ხაზგასმით დეკრეტს ანხორციელებს აგრთვე ბავარია". გაზეთი ალნიშნავს, რომ დაპატიმრებულ კომუნისტ პარტმუშაკთა რიცხვი 500-ს აღემატება. მარტო რეინის და რურის ოლქებში და ვესტფალიაში დაპატიმრებულია კომპარტიის რამდენიმე ასეული აქტივისტი.

ესენში დაპატიმრებულთა შორის არის ესენლეგაზ კომდეპუტატი ობუხი, ბრაუნშვეიგში კი კვირით აკრძალეს ყველა კომუნისტური ნაბეჭდი გამოცემანი, კრებები და დემონსტრაციები.

ოფენ-ბაზენ მეურენ-ნასაუს პროვინციის მთავრობის განკარგულებით პოლიციამ გა ჩხრიკა 16 კომუნისტ აქტივისტის ბინა, ამასთანავე, ვოლფის სააგენტოს ცნობით, კომფისკაცია უყარეს ფურცლებს, რომელნიც, თითქოს, მოუწოდებდნენ მთავრობის დამხობისა და ვენერალური გაფიცვის გამოცხადებისაკენ. მესენის პოლიცია მომზადებულია სპეციალურად.

ბადენის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ პოლიცია და ჟანდარმერია მზად იყვეს საბრძოლველად.

ეზენებში დაპატიმრეს და სამართალში მისცეს კომპარტიის 25 აქტივისტი. გოტში დაპატიმრეს 90 კომუნისტი.

მაგდებურგში აკრძალულია კომუნისტური პრესა. ქალაქში მასიურად პატიმრებენ კომუნისტებს.

ბრემენში პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა მოახდინეს ჩხრეკა კომპარტიის სალეკო კომიტეტის შენობებში, კომუნისტურ სტამბაში და კომუნისტ აქტივისტების ბინებზე. აკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაციები და კრებები. სახლების კედლებზე და საავიშო ბოძებზე გაკრულია კომუნისტური საარჩევნო პლაკატები და მოწოდებანი ზოგი ჩამოხეულ და ზოგი დაფარულ.

საქსონიაში აკრძალეს კომპარტიის და აგრეთვე კომპარტიის მომხრე ორგანიზაციების უველა კრებები. აკრძალულია აგრეთვე კომპარტიის პერიოდული გამოცემანი ფურცლების და პლაკატები.

ვიზბადენში აკრძალეს სოცია-დემოკრატების საარჩევნო კრება, რომელზედაც უნდა გამოსულიყო ნიო ბრაუნი კრებაზე მოვიდა ორი კვირით აკრძალეს უველა კომუნისტური ნაბეჭდი გამოცემანი, კრებები და დემონსტრაციები.

ოფენ-ბაზენ მეურენ-ნასაუს პროვინციის მთავრობის განკარგულებით პოლიციამ გა ჩხრიკა 16 კომუნისტ აქტივისტის ბინა, ამასთანავე, ვოლფის სააგენტოს ცნობით, კომფისკაცია უყარეს ფურცლებს, რომელნიც, თითქოს, მოუწოდებდნენ მთავრობის დამხობისა და გენერალური გაფიცვის გამოცხადებისაკენ. მესენის პოლიცია მომზადებულია სპეციალურად.

ბადენის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ბრძანება იმის შესახებ, რომ პოლიცია და ჟანდარმერია მზად იყვეს საბრძოლველად.

ეზენებში დაპატიმრეს და სამართალში მისცეს კომპარტიის 25 აქტივისტი. გოტში დაპატიმრეს 90 კომუნისტი.

მაგდებურგში აკრძალულია კომუნისტური პრესა. ქალაქში მასიურად პატიმრებენ კომუნისტებს.

ბრემენში პოლიციის გაძლიერებულმა რაზმებმა მოახდინეს ჩხრეკა კომპარტიის სალეკო კომიტეტის შენობებში, კომუნისტურ სტამბაში და კომუნისტ აქტივისტების ბინებზე. აკრძალულია ყოველგვარი დემონსტრაციები და კრებები. სახლების კედლებზე და საავიშო ბოძებზე გაკრულია კომუნისტური საარჩევნო პლაკატები და მოწოდებანი ზოგი ჩამოხეულ და ზოგი დაფარულ.

საქსონიაში აკრძალეს კომპარტიის და აგრეთვე კომპარტიის მომხრე ორგანიზაციების უველა კრებები. აკრძალულია აგრეთვე კომპარტიის პერიოდული გამოცემანი ფურცლების და პლაკატები.

ვიზბადენში აკრძალეს სოცია-დემოკრატების საარჩევნო კრება, რომელზედაც უნდა გამოსულიყო ნიო ბრაუნი კრებაზე მოვიდა ორი კვირით აკრძალეს უველა კომუნისტური ნაბეჭდი გამოცემანი, კრებები და დემონსტრაციები.

დაპატიმრებულია რამდენიმე ათასი კაცი

(„პრავდა"-ს სპეც. კორეს.)

ბერლინი, 2 მარტი. ტერორი კვლავ მძვინვარებს. ბერლინში სწარმოებს პატიმრის წეერთა და იმ პირთა ბინების მსჩორი ჩხრეკა, რომელნიც კომუნიზმს თანაუგრძნობენ. პოლიციის სამმართველის ცნობის თანახმად დაპატიმრებულია 200-მდე კაცი. 28 თებერვალს დაპატიმრებული კომუნისტები ნაწილობრივ გადაიყვანეს ლერ პატიმრებში. ვიდრე დაპატიმრების ციის საუბნო სამმართველოებში ადგილი არა ჰყოფნით. არც ერთი დაპატიმრებული თავისი ჯერ არ დაკითხვიათ, ადგილობრივი მთავრობები შეუდგენ ყველა პირიდულ გამოცემათა მასიურ აკრძალვას. მარტო უკანასკნელ დღეებში მთელს გერმანიაში დაპატიმრებულ იქნა 300 კაცზე მეტი. გაგრძელდა აგრეთვე მასიური თავდასმები. ბერლინში წუხელ ღამით თავის ბინაზე მოჰკლეს მუშა ბირშინგი, მძიმედ დასჭრეს მუშა კუნდე.

გუშინ კომპლენცში ნაციონალ-სოციალისტების მოიერიშე რაზმი გამოცხადდა ცენტრის ორგანოს „ფოლკს ციტუნგ"-ის რედაქციაში, ჩამოხია პლაკატები ფანჯრებზე, შეიცემდა გაეცო სალარო და დაემუქრა თანამშრომლებს, რომ ყველაფერს მიანგრა-მოანგრიებს. მოსულმა პოლიციამ გაიჩერა რედაქციის შენობა და ასეთ პირობებში მიმდინარეობს „საარჩევნო ბრძოლა" ქალაქებში და სოფლებში— მოსჩანს მხოლოდ ნაციონალ-სოციალისტების და „შავ-თეთრ-წითელ" ბლოკის პლაკატები (ადს).

ცენტრის ორგანო გერმანიის ამბების შესახებ

ბერლინი, 2 მარტი. ცენტრის ორგანო „გერმანია" ფიქრობს, რომ „გერმანიის ამბები გაშუქებული უარყოფით გვლენას მოახდენენ პირველ ხოვლისა საგარეო პოლიტიკაზე" და საჭიროდ სთვლის „სახელწოდოს მიეცეს ბოლო გარკვეულობას გერმანიის საშინაო პოლიტიკაში, გერმანია განიარაღების კონფერენციაზე, — აღნიშნავს გაზეთი, — ამიტომაც ისეა განმარტება ბული, როგორც ჯერ კიდევ არასოდეს არ ყოფილა, და გერმანია - საბჭოთა ურთიერთობა, რომელიც უშუალოდ არაფერი აქვს საერთო მსოფლიო კომუნისტურ პრესა პაგანდასთან. ძაფზე კიდია და ეს ძაფი სულ უფრო წირილდება. სწორედ ამიტომ უახლოეს დროში საჭიროა ძლიერი და გამოკვეთილი საგარეო - პოლიტიკური ხელმძღვანელობის სიცრუხისიერე და ხოფხიზლე, რომ გადარჩენილ იქნას მთელი რი თავზე მოყრილი საფრთხისაგან" (ადს).

რეპრესიები რუმინეთში, წინააღმდეგ გერლინში

ბერლინი, 2 მარტი. „იზვესტია"-ს ბუკურეშტის კორესპონდენტი იტყობინება:

— საღამოს გაზეთების გადმოცემით, პოლიციამ დღეიდან რეპრესიები ბერლინის სიჭრის წინააღმდეგ. ამ ღონისძიებათა ერთ-ერთ ფორმად ითვლება ყოველ ღამე ქალაქის ცენტრში ყველა ტრანსპორტის შეჩერება და ყველა მგზავრის ჩხრეკა. ამ ღონისძიების

კასპის ცემენტის ქარხანა ჩაება
ტეხნიკის ათვისების საკავშირო კონკურსში

„კომუნისტი“-ს რედაქციის ინიციატივით 5 მარტს ქარხანაში ტარდება პირველი ტეხნიკური კონფერენცია

ჩვენი პასუხი თბილისის მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მუშებს

ძვირფასო ამხანაგებო! კასპის ცემენტის ქარხნის მუშები და ინჟენერ-ტეხნიკოსები გავეცანით თქვენი ტეხნიკური კონფერენციის მომართვას, რომელშიდაც მოითხოვთ დებით ყველა საწარმოთა მუშებს ფართოდ გაშალონ ბრძოლა ახალი ტეხნიკის ასათვისებლად, საკ.კ.პ.(ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის ისტორიულ დადგენილებათა შესასრულებლად. ჩვენ გავიგეთ, რომ თქვენი ფაბრიკა, რომელიც მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს, რადგან ფაბრიკის ტეხნიკური საშუალებები არაა ათვისებული. ჩვენ ვიცით, რომ თქვენი ფაბრიკა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის ერთი იმ საამაყო წარმომადგენელთაგანია, რომელიც ააგო საქ. მუშათა კლასმა პირველ ხუთწლედში.

კასპის ცემენტის ქარხანაც პირველი ხუთწლედის პირმშოა და წარმოადგენს ჩვენი მძიმე ინდუსტრიის მრეწველობის უველაზე თვალსაჩინო შენაძენს. ჩვენი ქარხნის შეუფერებელ მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირში წარმოებულ სოციალისტური მშენებლობისათვის. ჩვენი ქარხანა თავის პროდუქციას აწვდის რიონჰესს, ნატახტარ მშენს, აზნავთის სამუშაოებს და საბჭოთა კავშირის მთელ რიგ სხვა საპასუხისმგებლო სააღმშენებლო ობიექტებს.

საბჭოთა კავშირში არსებულ ცემენტის უველა საწარმოთა შორის ჩვენი ქარხანა ერთი საუკეთესოთაგანია. ქარხანა მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევების თანახმად და იქ განხორციელებულია თითქმის უველა საწარმოო პროცესების მექანიზაცია. შრომის სოციალისტური ფორმების — დამკვრელობის, სოციალისტური შეჯიბრების და საზოგადოებრივი ბუქსირის ფართოდ გამოყენება საშუალება მოგვცა, აუცილებლად საჭირო დამხმარე მასალების (ქვანახშირი, ალებასტრი, ცეცხლგამძლეები და სხვა) მოწოდების შეფერხებისა და მუშა-ხელის სომცირის პირობებშიაც კი, პირნათლად შეგვესრულებია მიღებული საწარმოო დავალებები.

გასული 1932 წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა შევასრულეთ 99,7 პროცენტით, ანუ 0,3 პროცენტის ჩამორჩენით. რასაც არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან ეს ჩამორჩენა ქარხანამ მიმდინარე წლის პირველ თვეში—იანვარშივე დაფარა გადაჭარბებით.

საწარმოო გეგმის შესრულება დაბრკოლა ტრანსპორტის სისუსტემ, რკინის გზა ვერ გვაძლევდა ვაგონებს სათანადო რაოდენობით და ჩვენ მოკლებული ვიყავით საშუალებას, რომ მომზარებლებისათვის მივგვეწოდებინა იმდენი ცემენტი, რამდენიც მათ სჭირდებოდათ.

მიღწევები ბევრი გვაქვს, მაგრამ ამასთანავე ჩვენი მუშაობა ჯერ-ჯერობით მრავალი დეფიქტებით ხასიათდება. ერთ ერთი მთავარი დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ ვერ შევსძელით მთელ რიგ საწარმოო პროცესების ათვისება, ვერ დავეუფლეთ ცემენტის წარმოების ტეხნიკას, ვერ შევძელით მუ ათა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი მუდმივი კონტიგენტის შენარჩუნება.

ცემენტის ტეხნიკ აუთვისებლობა ჩვენი მუშაობის არადამაკმაყოფილებელი ხარისხობრივი მაჩვენებლების მიზეზია.

საკ. კ.პ.(ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა ჩვენი მრეწველობის წინაშე დასახა უდიდესი მნიშვნელობის ამოცანები. მათ შორის მთავარია პირველი ხუთწლედის გამმავლრბაში შექმნილი ტეხნიკური ბაზის ათვისება. პირველი ხუთწლედი იყო უმთავრესად ახალი მშენებლობის ხუთწლედი. მეორე ხუთწლედი უნდა იქნეს პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებელთა ზრდის ხუთწლედი.

თბილისის მაუდ-კამ. ფაბრიკის მუშებო და ინჟენერ-ტეხნიკოსებო! ჩვენ გავეცანით თქვენს ფაბრიკაში ჩატარებული ტეხნიკური კონფერენციის მასალებს და დავრწმუნდით, რომ ასეთ კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტეხნიკ ს დაუფლებისათვის ბრძოლაში. გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ინიციატივით და საქ. მძიმე მრეწველობის საკ. კომისარიატის დახმარებით ჩვენ უკვე შეუდექით მუშაობას ტეხ. ნიკური კონფერენციის მოსაწვევად: გამოვყავით ტეხნ კური კონფერენციის ჩამტარებელი შტაბი, შევადგინეთ ტეხნიკური სწავლების, პროდუქციის ხარისხობრივი მ ჩვენებლების შემმოწმებელი ბრიგადები და გავშალეთ მოსამზადებელი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ კონფერენცია შესდგეს 5 მარტს.

ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მართლაც „შეუძლებელია იყო ნამდვილი დამკვრელი, წარმოების ენტუზიასტი, თუ საუკეთესოდ არ იცნობ, საკუთარ საქმეს, საკუთარ წარმოებას, საკუთარ მანქანებს“.

კასპის ცემენტის ქარხნის მუშები და ინჟენერ-ტეხნიკოსები, ვღებულობთ რა მონაწილეობას ტეხნიკის დაუფლების საკავშირო კონკურსში, ვიძლევით მტკიცე პროლეტარულ სიტყვას, რომ შეუსვენებლივ ვიბრძოლებთ ჩვენი ახალი საწარმოს და ახალი ტეხნიკის ათვისებისათვის, წარმატებით ჩავ ტარებთ ტეხნიკურ კონფერენციას და ჩავდგებით საკ.კ.პ.(ბ) ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის იანვრის პლენუმის დადგენილებათა რეალიზაციისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

გაუმარჯოს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას!

გაუმარჯოს ლენინურ პარტიას და მსოფლიო მუშათა კლასის საყვარელ ბელადს—ამხ. სტალინს!

კასპის ცემენტის ქარხნის მუშებისა და ინჟენერ-ტეხნიკოსების და ვალებით—ტეხნიკური კონფერენციის ჩამტარებელი შტაბი.

ამხ. ფილიპე მგალობლიშვილის ხსოვნას

კომუნისტურმა პარტიამ კლავ დაჰკარგა ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების წევრი, ბრძოლაში ჯაბობრმედილი ამხ. ფილიპე მგალობლიშვილი.

ამხ. ფილიპე დაიბადა ს. ერკეთში 1896 წ. ღარიბ ოჯახში. პირველდაწყებითი სწავლების დამთავრების შემდეგ, სიღარიბის გამო, ვერ შესძლო გაეგრძელებინა სწავლა, ამხ. ფილიპე 1904 წლიდან ჩაება რევოლიუციონერ ხოჭოსტაში. 1905 წელს შეიყარა რ.კ.დ.მ.პ. ბოლშევიკურ ფრაქციაში და აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ყოველგვარ რევოლიუციონერ გამოსვლებში მეფის მთავრობის წინააღმდეგ და აწარმოებდა ბრძოლას მენშევიკურ ფრაქციის თან.

1907 წელს იგი გაიწვიეს სამხედრო. სამსახურში ჯარისკაცად. ის აწარმოებს რევოლიუციონურ მუშაობას მეფის ყაზარმაში. აქ იგი აწყობს რევოლიუციონურ წრეებს, ავრცელებს პროკლამაციებს და ეწევა ენერგიულ მუშაობას ჯარის ნაწილებში. მას ჩქარა გაუგეს და სამხედრო სასამართლომ, როგორც აჯანყების მოწყობის მიღსაჯა მას 12 წლ. კატორგა, სიკვდილამდე. მას ათპატიმრობა მისჯეს 1917 წ. თებერვლის რევოლიუცია.

1917 წელს ის ბრუნდება გურიაში. ფიზიკურად დასუსტებული იყო, მაგრამ დაუშრეტელი ენერგიით შეუდგა მუშაობას ბოლშევიკთა ორგანიზაციებში. დაუღალავი ენერგიით, კომუნისტური გულწრფელობით, მტკიცე პარტიული დისციპლინით ასრულებდა ყოველგვარ პარტიულ დავალებებს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მუშაობდა საბჭოებში, ბევრი თანამდებობებიც ეჭირა პარტიულ და საბჭოთა ხაზით. უკანასკნელ ხანს—ჩოხატაურის რაიონის მუშათა და გლეხთა ინსპექტორის და საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ და ღირსეულად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.

ამხ. ფილიპეს სახით კომუნისტურმა პარტიამ დაჰკარგა ერთ-ერთი აქტიური, გულწრფელი, თავდადებული ბოლშევიკი.

გრ. მგალობლიშვილი.

8 მარტს მასიური კრებების ჩატარების შესახებ

(საქ. კ.პ.(ბ) თბილისის კომიტეტის 1933 წ. 22 თებერვლის დადგენილება)

1. საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წაიკადებას აძლევს საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომებს 8 მარტს მასიური კრებების წარმოებაში, დაწესებულებებში, კოლექტიურნეობებში. საბჭოთა მეურნეობებში ჩატარონ მოხსენებები თემებზე:

ქალაქში: ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა და მშრომელ ქალთა ამოცანები.

სოფლად: მეორე ხუთწლედის პირველი ბოლშევიკური გაზაფხულის სახალხო-სამეურნეო ამოცანები და მშრომელ გლეხქალთა და კოლმეურნე-ქალთა როლი.

2. საქართველოს კ. პ. (ბ) რაიკომებმა უზრუნველყოონ მომხსენებლებით აღნიშნული კრებები.

3. თბილისის კომიტეტის კულტპროპაგანდისტულმა განყოფილებამ მისცეს მასალები წესები მოხსენებათათვის.

4. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს პრესაში.

(მოხსენებელთათვის და მასიურ აგიტატორებისათვის)

1. ამხ. სტალინის მოხსენება „ხუთწლედის შედეგების შესახებ“ და სიტყვა „სოფლად მუშაობის შესახებ“. წარმოთქმული საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის იანვრის გაერთიანებულ პლენუმზე.

2. ამხ. მოლოტოვის სიტყვა საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე.

3. ამხ. კაგანოვიჩის მოხსენება დამკვრელ კოლმეურნეთა პირველ საკავშირო ყრილობაზე და ყრილობის მიმართები.

4. საკ. კ.პ. (ბ) ბიური-კავკ. სამხარეო კომიტეტის და საქ. კ.პ. (ბ) ცეკას გადაწყვეტილება „თესლისათვის მოსწავლების მომზადების მიმართ“.

5. ლენინი „სიტყვა მოსკოვის მუშა-ქალთა კონფერენციაზე“ ტ. 16. გვ. 256.

6. ლენინი „საბჭოთა ხელისუფლება და ქალების მდგომარეობა“ ტ. 16, გვ. 362.

7. ლენინი „მუშა ქალის საერთაშორისო დღე“ ტ. 18, გვ. 29.

8. სტალინი „სიტყვა დამკვრელ კოლმეურნეთა საკავშირო ყრილობაზე“ მე-3 გამოცემა.

9. ა ნუხრატი „ოქტომბერი და აღმოსავლეთის ქალი“. პარტგამომცემლობა 1932 წ. გვ. 56.

10. „მუშა ქალი სოციალისტურ მშენებლობაზე“. მუშა-ქალთა აგიტბიუროგრაფიის კრებული. პარტგამომცემლობა 1932 წ. გვ. 174.

11. ელ. კრავაიკო „გლეხი ქალი საბჭოთა ხელისუფლების დროს“. სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოები 1932 წ. გვ. 72.

12. ზეროები „დამკვრელი ქალები სოციალისტურ გოგანტების მშენებლობაზე“. პარტგამომცემლობა 1932 წ.

13 ა გრეკოვი. „მუშა ქალი საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში“. პარტგამომცემლობა 1932 წ. გვ. 38.

საქ. კ.პ. (ბ) თბ. კომიტეტის კულტპროპაგანდისტული განყოფილება.

ქრონიკა

4.250.000 მანეთი საბავშვო კერების მშენებლობისათვის

1933 წელს საქართველოში აშენებული იქნება 23 ახალი საბავშვო კერა, რომლებიც მოამზადებენ დაუწერელ 1450 ბავშვს. მშენებლობის ღირებულება 4.350.000 მან. თბილისში აშენებული იქნება 10 საბავშვო კერა. მშენებლობას აწარმოებენ მკუთვნებელი კონსტრუქტორები, ბინათმკეთებლები, ავეჯის ფაბრიკა და სხვა საწარმოები. ამას გარდა მშენებლობა გაიშლება ზესტაფონში, ახალციხეში, გორში, ფოთში, ბორჯომში. ლეწკორის მაუდის ფაბრიკასთან კოლმეურნის ხე-ტყის ქარხანასთან და ალაზნის ველზე მეურნეობაში (ადს).

5 მილიონი მანეთი საქართველოს საკურორტო მშენებლობას

საქართველოს სახკომსაბჭომ დაამტკიცა 1933 წელს საქართველოს ს.ს. რესპუბლიკის საკურორტო მშენებლობაზე დასაბანდებელი თხსნის სანრიო მოცულობა 8.103.400 მანეთის ოდენობით. აქედან წყალტუბოს მშენებლობისათვის გადადებული იქნება— 1.140.000 მანეთი, კურორტთა ბორჯომის ჯგუფის მშენებლობისათვის — 1.460.000 მანეთი და აბასთუმანისათვის — 1.000.000 მანეთი (ადს).

გასწორება

ჩვენი გაზეთის 1-ლი მარტის № 50 (3.606)-ში მოთავსებულ დადგენილებაში 1933 წლის ბიუჯეტის შესახებ, 1-ლ მუხლის 1-ლ პუნქტში 51 მან. 40 კაპ. რაოდენობით, უნდა იყვეს 64 მან. 40 კაპ.

ჟურ. „დროშა“ № 4

გამოვიდა და იყიდება „დროშა“ № 4. შიგნითა: გ. ქუჩიშვილი—საბჭოთა სკოლა რთველის, სალამი გლეხურ წიგნ ას (ლექსები); მოწონავე—მე-12 თებერვალი, მ. რ—ძე—წითელი არმია — სოციალისტური მშენებლობისა და მშვიდობიანობის გუშაგი, ლენინი და წითელი არმია (ს. პოდვოისკის მოგონებებიდან). კ. ბოხოხიძე—გლეხთა საფლავთან (ლექსი), ან. ყურუა—არარაობიდან გიგანტებამდე. კარიონ კალაძე — ურჩარდიონი (პოემის მესამე ნაწილი). ზალვა ბუაჩიძე—ჰიდრო-ჰიდრო, ი. ბეჟანიშვილი — საბჭოთა კავშირის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის 10 წ. ი., ანტ — კულტურული მგზავრობისათვის, ედ. შ—გ—ბრძოლა მოსავლიანობისათვის, ა. კ—ძე—ლ. ბერიას სახელობის აგარის შაქრის ქარხანა ჩადგა სოციალისტური ინდუსტრიის გიგანტების რიგში. ე.ჭ.—პოლარ ლიის „პოტიომკინი“, ე. ნ.—საბჭოთა კავშირი ამზადებს საკუთარ ბლიუმინგებს. საქართველოს ფოტო-ქრონიკა, ჟურნალში მოთავსებულია 33 ფოტოგრაფია. ყდა — პროფ. მოსე თოიძის, ცალკე ნომრის ფასი—30 კაპ.

პარტკალენდარი

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტურის და პროპაგანდის განყოფილების დაუწერებელი სექტორი იწვევს საქართველოს კომუნისტურ უნივერსიტეტის იმ დაუსწრებელ მსმენელთა თათბირს, რომელიც თბილისში ცხოვრობენ. თათბირი შედგება საქართველოს დაუსწრებელ კომუნივერსიტეტის შენობაში (ალექსანდრეს ქუჩა № 22) 6 მარტს დილის 5 საათზე. ქვემოდან ჩამოთვლილ დაუსწრებელთა გამოცხადება აუცილებელია: გ. კერკეზაძე, ს. ბერიძე, ზ. ასლამაზიშვილი, მ. ბახალაძე, მ. კვედლაძე, ფ. კანდარაძე, გ. მეტრეველი, მ. მაღლებიშვილი, ს. მღებრიშვილი, ა. ძაძამია, პ. ფოცხვერაშვილი, ა. შენგელია, ე. კურაშვილი, ს. გიორგაძე, გ. კლდიაშვილი, დ. ანანიაშვილი, ა. არუთინოვი, ს. ბაბაიანი, ა. ბროვერსკი, ს. ივანოვი, ა. მგელელაძე, ტ. მასხულია, ბ. მატანიანი, ნ. ჩხეიძე, ი. ფიჩხაძე, ს. თომაშვილი, ე. ტოგონიძე, მ. მახარაძე, ა. გუჯაბიძე, ა. ვართაპეტოვი, ი. კოხრეიძე, სტეპკლოვი, მ. თერუნოვი, ი. ნიკოლაევი, მ. ნედოჩეტსკი, ალ. რომანოვსკი, ე. ხარებიანი, ა. კაციტაძე, ნ. ხუბულავა, როგაჩევი, ალ. არტემოვი, პოლ. ჩიჭიძე, თ. ძოძუაშვილი.

ხაქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემოდასახელებულ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო სტატისტიკურ განყოფილებაში (ოთახი № 15): ნ. ვაზიალოვი, ა. ხ. ენგიბაროვი, ლ. ე. ერისკიანი, ვ. ი. ერენიანი, ა. ე. ელკანოვი, ვ. მ. დიაკონოვი, ა. ა. დონდუაშვილი, პ. ქ. დონდუა, ა. ნ. დონბრუდავა, გ. ნ. დოიჯაშვილი, ა. ვ. დიხანიძვილი, ი. თ. ძაძამია, მ. ა. დიაკოვა, თ. ფ. ილინა, ზ. ო. იმერლიშვილი, ნ. გ. ირემაძე, ნ. გ. ისაგულოვი, ვ. გ. ისაკაძე, მ. დ. კაჭრიშვილი, გ. ა. კაკოლინი, ვ. ა. კაზაევი, ი. ა. კაზაროვი, ა. ი. კაკაბაძე, გ. ფ. კაკაბაძე, ა. ფ. კალანდია, ა. ფ. კამპონი, გ. ა. კარაბეშვილი, მ. ა. კარაუშვილი, დ. ა. კარპალოვი, დ. ი. კარკოვი, ვ. პ. კასაიკინი, ა. ა. კათამაძე, შ. მ. ქელბაჭიანი, მ. ა. კახნაშვილი, ვ. ნ. კაციტაძე, ს. გ. კელესხანელი, გ. მ. კაციტაძე, ნ. ბ. კაშია, ნ. მ. კინკლაძე.

4 მარტს სალამოს 7 საათზე საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტში (ოთახი № 8) ამხ. პ. პეტაძის კაბინეტში მოწვეულია თათბირი „სასუქსათო ბაზის შექმნისა და სკოლებში ბაღთა კეთების მდგომარეობის შესახებ“. საგალდებულოა ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება:

მ. ცაცანაშვილი, ს. ბერიძე, ა. ბოლქვაძე, ა. ბერიკაშვილი, ა. ბერიძე, ა. ბაბალიანი, ა. ბაბალიანი, ა. ბაბალიანი